საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 897/01
02/02/2022

897-01-2-202202021407

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას"

მის: ჭავჭავაძის გამზირი №34, სართ. 6

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 12 იანვრის №223 განცხადება, რომელიც ეხება ასპინძის მუნიციპალიტეტში, დაბა ასპინძაში, ვარძიის ქუჩის №44დ-ში არსებულ ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს სამინისტროს 2021 წლის 29 დეკემბრის №14079/01 წერილით წარმოდგენილი შენიშვნები. ამასთან, სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის შემოწმების შედეგად დაგინდა, რომ კომპანიის მიერ საპროექტო ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია ერთი ცალი რეზერვუარი ბენზინის საწვავისთვის. შესაბამისად, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ავტოგასამართ სადგურზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044